


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცნობებთანავე ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБЪ“

ფასი წლით 1 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე სომეხი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



ბამოლის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უგანასწავლი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. სტრიქონზე სტრიქონზე
ნების ითვლება მათგან დაქვერდებულნი არიან
ლობაზედ.

თუ საქართვებ მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და სწავლავს
ღვებს დასაბუჯად გამოცხადებულ წიგნებს. დაუბრუნდეს წიგნი,
ღვებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявleníя въ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

ქისაც დღემდე გზებით სხედ-
რი ფული არ შეძოუტანია, რე-
დაქცია უძორნილესადა სთხოვს
სახქაროდ შეძოუტანონ, თუ არა
ჭსურთ, რომ გზებით გავსავენ
მოქსნათ.

ადრესის გამოცვლისათვის რე-
დაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ
შვიდი მაური წარმოდგინონ
სოლმე.

ქართული თეატრი
ქუჩის, მათის 26 ს
ქართულს დრამ ტიულის დასახვან
გამართულის იქსი:
I
სხოველი სურათები
II
ღივარტისმენტი
III
ლ მ კ უ რ ი
პარკულად
სათეატრო ბალი
სახეირნათ გაღებულ და
განაღებული იქსება
დაუკრავს სამხედრო ორკესტრი და
სახანდარი. ბაღა გაღება საღამოს
7-სათ. სოლო წარმოდგენა საღ. 9
სათისკად დაიწება.

ერთის წლით მიძინებულ ლი საქმე

თბილისი, მაისის 24-ს.
ბუშინდელს წერილში მკითხველებს
ვაცნობთ, რომ ხიზნების საქმის თა-
ობაზე ორმა მიმართულებამ იჩინა თა-
ვი, ორი უმთავრესი აზრი წარმოი-
თქვაო: ერთნი იმ პრინციპით ხელ-
მძღვანელობენ, რომ გლენ-კაცი უმა-
მულო არ უნდა იყოს, მეორეებს-კი
საუყეთესოდ მიაჩნიათ ის წეს-წყობი-
ლება, რომელიც ამ ჟამად სუფევს
და მხოლოდ იმ წუნსა სდებენ, რომ
ეს წეს-წყობილება გამოურკვეველია;
თუ ვინცობა მას მტკიცე საფუძველს
გამოუწახავთ, და საბოლოოდ გა-
დაწვევტო, რომ გლენ-კაცმა მება-
ტონეს წელიწადში ამა-და-ამდენი ურე-
მი შემა-ფიჩხი უზიდოს, ამა-და-ამდენი
მუშა მოახმაროს, მოსავლისა მე-
ოთხედი ან მეხუთედი აძლიოს და
შობა-აღდგომა დღეს ძღვენი მიარ-
თვას ხოლმეო, — მაშინ სათავეშივე
მოწვევტო უკმაყოფილების წყაროს
და იმისთანა ბედნიერ არკადიას და-

ვამყარებთ, რომელიც სამაგალითო
იქნება მთელის მეროპისათვის და იქაურ
პოლიტიკო-ეკონომებისაგან ქების ქა-
ლადსაც მივიღებთ, რომ ასე მარ-
ტივად და ადვილად გადაწვევტოთ
ამისთანა რთული და ძნელი საგა-
ნიო.

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“ უნდა
უნებურად წარმოგსტქვათ და მუხლი
მოვიდრიკოთ ამისთანა შინაურ პო-
ლიტიკო-ეკონომების წინაშე, რომელ-
ნიც მეროპისა-კი აკვირებენ და პა-
ტრიარქალურ წესის შემოღებით ჰსურთ
მოსპონ ყოველივე ეკონომიური უკმა-
ყოფილება და უთანხმოება. მაგრამ
ვაი, რომ ცალიერი სურვილი საქმა-
რისი არ არის და თუ პატრიარქა-
ლური წესი მამა აბრაამის დროს გა-
მოდგებოდა, მეცხრამეტე საუკუნეში
სრულიად გამოუყენებელია.

მღენ-კაცი თუ მამულს აიღებს სა-
მუშაოდ, იმას-კი არ ეცდება რომ
პირნათლად გამოვიდეს მამულის პა-
ტრონთან, ოთხ ძნაში ერთი ძნა შინ-
ვე მიართვას და თან პატარა მეტიც
გაყოლოს, რომ უფრო სინილის-გა-
წმენდილი დაბრუნდეს სახლში; არა,
ის ყოველს ღონისძიებას მოიხმარს—
ოთხიდან რომ ერთი უწილოს, მეორე
„ოთხი“ გამოუწაწილებლად ჩუმად
შინ მიიტანოს. თუ ოდესმე ძღვენის
მიტანა თითქმის საამოდ მიაჩნდა გლენ-
კაცს, რადგან ამ საშუალებით შეეძ-
ლო ბატონის-კარს თავის ტოლებთან
ერთად ქეფი გაეტარებინა, და ბატო-
ნიც თავისთან ერთად ექეფებინა,
ეხლა ეს ცერემონია მძიმე მოვალეო-
ბად გადაიქცა და ანაქრონიზმობა და-
ეტყო.

ერთის სიტყვით, თუ შინაურ პო-
ლიტიკო-ეკონომების აზრი განხორცი-
ელდა და ისევე ის დამოკიდებულება
დარჩა, როგორც ეხლაა, ჩვენ დარწ-
მუნებულნი ვართ, რომ უკმაყოფი-
ლება არამტოუ მოისპობა, უმეტესად
გაძლიერდება: გლენ-კაცი ყოველთვის
ეცდება მამულის-პატრონი ცარიელზე
დასვას და მამულის-პატრონმაც იქნე-
ბა ერთი ორჯერ კი მიჰმართოს სასა-
მართლოს, მაგრამ ამითიც მოილაღე-
ბა და ბოლოს თუ უარესში არა,
იმისთანა მდგომარეობაშივე ჩაეკვი-
დებით, როგორშიაც ეხლა ვართ.

მეორეს მხრით იმასაც ნუ დავივიწ-
ყებთ, რომ ხიზნებს დიდი ამაგი აქვთ
იმ მამულზედ, რომელზედაც სდგანან.
მს ამაგი მიუძღვით აგრეთვე წინაშე
მემამულეებისა, რომელთაც ხშირად
იგინი მფლობელობის საბუთად გამო-
ადგებოდენ ხოლმე. მართალია, ხიზ-
ნები შეიძლება ტყე-ქამიებად ჩაერიც
ხოთ, რადგან ტყეს ამითთანა მტერი

არაინა ჰყავს და ეს საგანი უეჭვე-
ლად ცალკე უნდა გაისინჯოს და
აცილებულ იქნას უანგარიშო და
უსაზღვრო ტყეების წვა და ჩეხვა, —
მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ
მრავალი ხიზანი ისეა მოწყობილი
სახლით, ბოსელით, კალო-საბძლით,
ბალით, რომ მისი აყრა მამულიდამ
დარღვევა იქნება კაცისა და ღვთის
ყოველგვარი კანონისა. მართალია,
ნუგეშად შინაური პოლიტიკო-ეკონო-
მები ამას ამბობენ, რომ მემამულემ
თუ თავის ნებით აპყარა ხიზანი, უნ-
და ყოველი მისი ნამადარის ფასი
მისცესო, მაგრამ ფასი ყოველთვის
გროშობით არ გაისინჯება: ხიზანს
ხშირად ოც თუმნადაც არ უღირდეს
თავის შერობა, მაგრამ იქნება იქ იმ-
დენი ოფლი ჩაუქცევა, იმდენი ჭირი
და ლხინი უნახავს და ისე ჩამოვარდ-
ნია გული მისს ადგილ-მდებარეობა-
ზედ, რომ შეიძლება ნება-ყოფლობით
ოცი თუმნის ნაფასევი ორას თუმნა-
დაც არ მისცეს. მა აი სწორედ ამ
დროს მოდის სხვა გლენ-კაცი, მამუ-
ლის პატრონს რამდენიმე თუმნას
მეტს აძლევს, შენობის ფასსაც ხელ-
ში უთვლის და სთხოვს ხიზანის აყ-
რას, იმ ხიზანისას, რომელიც მამა-
პაპით ამ ადგილზედა სცხოვრებს და
სულითა და გულით მას შესთვისე-
ბია.

მს ორიოდ შენიშნავ კმარა იმის
დასამტკიცებლად, თუ რა მჩატე სა-
ძირკველზეა აგებული აზრი იმ შინა-
ურ პოლიტიკო-ეკონომებისა, რო-
მელთაც ეხლანდელი წეს-წყობილება
თავიანთ იდეალად მიჩნიათ და საქ-
მის დასამთავრებლად საჭიროდ ჰხედ-
ვენ მხოლოდ ამ წეს-წყობილების
„დაკანონებას“.

მეორე აზრს, რომლის ძალითაც
ხიზნები უეჭველად უნდა დამამულიან-
დენ, ხვალ გავსინჯავთ.

შინაური ქრონიკა

მეორას, დილის ათ საათზედ
თბილისის კლუბში იქნება არა ჩვეუ-
ლებრივი კრება თბილისის ქალაქის
ჩიევისა წყალის გამოყენაზედ მოლა-
პარაკების გამო.

ამ ცოტას ხანში გამოვა ლ. ბაქ-
რადის რედაქტორობით დაბეჭდილი
საქართველოს ისტორიის მანუშის რუ-
კებით, რომელნიც ბ-ნი წილოსანისა-
გან არიან შედგენილნი.

სოფ. ბახვიდამ გვწერენ, რომ
მ. ლ. მ. იქაური სკოლის და გამ-

სესხებელ-შემნახველი ამხანაგების წი-
ნალმდეგ მოქმედობს და ყოველის
გზით ცდილობს ამ დაწესებულებათ
აენოს რამე. მ. ლ. მ. იმისთანა ხმა-
საკ-კი ავრცელებს ხალხში, რომ ვი-
თომც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამ
სოფლის სკოლის შესახებ ქება თვი-
თონ ამავე სკოლის მასწავლებლისა-
გან მოგვსელოდეს. პარწმუნებთ მ. ლ.
მ., რომ მასწავლებელს ჩვენთვის ერ-
თი სტრიქონიც არ გამოუგზავნია თა-
ვის სკოლის შესახებ.

როგორც ხევიდამ გვწერენ, მ.
იტ— იევი საშინლად მოუსვენარი კა-
ცი ყოფილა და დავიდარბასს თურმე
„ყიდულობს“ და თავის ქვეშევრდომთ
შორის შურსა, უსიამოვნებასა და სი-
ძულიელს აგდებსო. ერთხელ ეს ბ.
მ. იტ — იევი გამოუცვლიათ თა-
ვის თანამდებობიდან, მაგრამ ხელ-
მეორედ ამოურჩევიათ და მასაც კვა-
ლად მიუყვია ხელი ბეზლობისათვის.
დაუტყვეოსო თავის ბოროტ-მოქმედე-
ბა; გვწერს კორესპონდენტი, თორემ,
ვაი, თუ მაზედაც ასრულდეს ეს თქმუ-
ლებაო:

სოფლის სათავეს ვესახლე, განა სოფელი
ჩემს თავსა,
სოფელმა კარგად მითვისა, თუ მეც სოფე-
ლი შეთავსა,
და რაც მიწოდა სოფლისთვის სულ ის მო-
ვიდა ჩემს თავსა.“

ამ თვის ორს შოთში ქარ-
თველ სცენის მოყვარეთ წარმოდგენა
გაუმართავთ ქალების სკოლის სასარ-
გებლოდ და ხარჯს გარეთ 130 მან.
დარჩენილა. აგრეთვე გაუმართავთ
ალეგრა, საიდამაც 700 მან. შემო-
სულა. დიდის მადლობის ღირსნი არია-
ნო, გვწერს კორესპონდენტი, ნ. ი.
მხარამოვისა, ნ. ა. ხუმარაძისა და
სხვ., რომელთა მეოხებით შარშანაც
500 მანათამდე შეეწირა სკოლებ-
საო.

ამავე გალაქში ამ თვის პირ-
ველს, იარმუკობა დღეს, მოგროვილს
ხალხს ჩვეულებრივ ბურთობა გაუ-
მართავთ, მაგრამ პ—ის არ მიეცა ნება
და მოთამაშენი გაეფანტა. რამდენიმე
კაცი კიდევ დაქრილა. საკვირველია,
ამისთანა უნებელს თამაშობას რა-
ლად უშლიან, როგორც ბურთობაა.
მამ ხალხმა დღეობას გული როგორ-ღა
გაართოს?

ჩვენ გვატყობინებენ გარეთ-ძა-
ხეთიდან, რომ იქ მოსულა ამ დღეებში
სეტყვა და დაუსეტყვევ სოფლები: ჩაი-
ლური, პატარძეული და ძაკბეთი.

იქილამევე გვწერენ, რომ ამ
რამდენიმე კვირის წინად გაუმართავთ
ქალაქს ახლო ძახეთის შარა-გზაზედ

საბაჟო (ზასტავა), საცა ბაჟი უნდა გამოერთოს ძახეთის გზით ყოველს გამეღელს-გამომეღელსა; ეს გზა გაცოტებულია სოფლების შორებით, რისთვისაც მათ გროში არ მიუღიათ: ეხლა კი, როცა საბაჟო გამართულია გარეშე მდებარე სოფლები გამოუყვანიათ ბევრით ამ გზის გასასწორებლად და თხრილების გასაწმენდად. შრთის სიტყვით ამაზედ სოფლები ჩივილს აპირობენ საცა ჯერ არსო.

საგარეჯოდამ გეწერენ: აქაური დამზოგველი ამხანაგობა (დებო) ძლიან უკან-უკან წავიდა ამ ბოლოს დროსაო; იმის შესატყობად, თუ რა მდგომარეობაშია იგი, საკმაოა მოიყვანოთ ის ფაქტი, რომ ამხანაგობა თუმანზედ მარტო ორ მანეთს, იმასაც ვეჯით, აძლევს იმ წვერთა, რომელთაც მოისურვეს ვასელა საზოგადოებრიდან. და ამისთანა მსურველები-კი საკმაო არიანო.

მასის 19-ს, კვირას თბილისით გაიარა ინგლისელმა პოლკოვნიკმა სტიუარტმა, რომელიც წვერთა ჯვანის სამსლევის გამო დანიშნულის ინგლისურის კომისიისა. (კავკასია).

ცნობილი საქმე თავადის გ. ი. სუმბათიშვილისა და თავადის ი. კ. მუსრან-ბატონისა გაიხსნა მასის 31-ს, თბილისის სამოსამართლო პალატაში. თავ. სუმბათიშვილის დასაცველად მოსულა თბილისში მოსკოველი ნათიცი ვეჩელი გ. ა. ალექსანდროვი. (კავკასია).

დუშეთიდან სწერენ „ჩაჭა“-ს: მასის 19-ს, კვირას საქართველოს ეგზარქოსმა აკურთხა ახლად აშენებული ეკლესია წმ. ნიკოლოზისა. ამ კურთხევას დაესწრა მთავარ-მმართველი თავადი დონდუკოვ-გოროსკოვი, რომელიც ამ 30 წლის წინადაც დაქსნობია ამავე ეკლესიის სამირველის ჩაყრის დროს. ეს ახალი ეკლესია დგას დუშეთის შუაგულში ფართო მეიდანზედ; იგი აშენებულია ახალი სტილის გემოზედ და აქვს ექვსი, თეთრი თუნუქით დასურული გუმბათი ოქროთი დაფერილი ჯვრებით. ეკლესიას გარშემო ატყუა ბაღი, რომელიც კურთხევის დროს მართული იყო ფეროვანი დროებით. დუშეთი ამ დღეს სავსე იყო ხალხით; მთელი მასრის თავდაზნაურობა, ადგილობრივი და მოსული აფიცრები, სოფლებიდან მოსული მრავალი გლეხის სასლაბანი დაქსნობენ კურთხევას. ხალხი იდგა ბაღში და მოედანზედ, თითონ ეკლესიაში კი შეათვდი ნაწილი შეგროვილი ხალხისა ძლივს ეტეოდა კურთხევისა და წიგვის დროს გალობდენ ორი ხორა მკვლახებთა: ერთი ეგზარქოსის ხორა და მეორე დუშეთის პირველ-დაწყებითი სასწავლებლისა. ერთმა ფატოგრაფმა აიღო კურთხევის სურათი და მისთვის მათ ბრწყინვალეს მთავარ-მმართველს. ამ ეკლესიის ასაშენებლად გადადებულ იყო სემიოვი იმპერატორის ბრძანებით 4,000 მან და შემოწირულია დიდ-ძალი ფული თავ. ი. ბატონის-მუსრანისისაგან,

იოსელიანის მეუღლისაგან და სსკ (კავკასია).
შუშიდამ სწერენ „ნორ-ღარს“: სოფელს დ-ში ერთი ახად-გაზდა 22 წლის დედა-კაცი თავისი ხუთის წლის კაცით გასულა სოფლიდან, მისულა ერთს მადლს კლდესთან და თავსი შვილით გადაკარგინდა ძირს. მუზობლებს, რამ-წამს გაგოთ ეს ამბავი, გაქვეუდიფენ მისაშველებლად, მაგრამ დედაც და შვილიც ორივე მკვდრები დატყვევდნათ მიწეზე ამ თავის მკვლელობის აჩუკის იციან.

რეკლამა იწერებინ, რომ იქვე კვალი ხელ-ახლად გაიღვირდა და ძლიან ბუგნსაცა კვლავს ოფიციალურის წყარობიდან სხასს, რომ აზრადში ვეკილით ავადმყოფი სულ 225 კაცი ყოფილა, და 14 მოკვდნა. იქიდანვე იწერებინ, რომ პირველ-გაზაფხულიდან ვიდრე მასის 14-მდე წვიმა არა ყოფილა და ამის გამო სიმინდმა ძლიან აიწია ფასი: კოდი, რომელიც 1 მან. 20 კაპ. ფასობდა, 2 მან. გასდა. მასის 14-დან კი დაიწყო წვიმა, გაიღვირა იქიდან, რომ სიმინდის მოსავალი კარგი იქნება და სიმინდის ფასმა მშინვე იკლო. შურის მოსავალიც იქიდან კარგი იქნება. (კავკასია).

კახეთის აუი და კარგი

მშვენიერი სანახავია დღეს ძისის-ხევის წყალი, რომელიც რვა ვერსზეა თელავიდან და თვისი რისხვამდინვარებით განთქმულია მთელს ქახეთში. წარმოადგინეთ: რვასი მუშაკი ბარით, თოხით, ნიხით, ურით და ცულით ეს მესამე კვირა რაც ამისთანა ვენახების და ფეტვის-მინდის გაცხარებული მუშაობის დროს, თავ-განწირულად შრომობს, დაწველილი ძისის-ხევის მარტენა კიდების გამაგრებისათვის, რომ ეს მდინვარე წყალი ააშორონ სოფელ პონდოლს და მით გამოიხსნან მისნი მემამულენი სრულის წალეკისაგან... მართალია, საამურია ეს ბრძოლა ადამიანებისა ბუნების რისხვასთან მეთვალყურესათვის, მაგრამ რამდენად საამურია იგივე ბრძოლა თვით მებრძოლთათვის, რომელთაც, ხშირად, შინაღუკმა-პურიც არა აქვთ საქმელად და შორეულს სოფელში-კი არიან გამოწვეულნი სამუშაოდ,—ეს თვითონ მებრძოლთ უნდა ეკითხოს!...

დადგა გაზაფხული, და როგორც მუდამ ყოველს ამ დროს, მოჰყენენ კონდოლეონი იერემიას გოდებას, რომ აი ახლოვდება ზაფხული და ძისის-ხევის წყალი მთლად წავგლეკავს, მთლად თან წავგიღებს დედა-წულიანათაო!... ბოგნი თავის უფალი ჩივია ამ შემთხვევაში და იკითვენ ვასწევს მამულის შესამუშავებლად, სადაც უფრო ნაკლებ ხიფათს ჰხედავს თავის შრომისათვის. მაშ ეს თავდაზნაურსა და მოქალაქეს შეეხება, რადგანაც ამ ჟამად, მესაკუთრენი აქეთვენ

მხოლოდ ესენი არიან და მართალიც არის. პეილოთ პონდოლი და თვალი გადავფლოთ მის დალოცილოს ტყე-მიწა-წყალს მისია ყოველი ეს, რომელიც ჯერ-ჯერობით ასე გულუხვად აბიბინებულა და მით გულს უხარებს მოგზაურს მეთვალ-ყურეს? მრთი პასუხი: თავად აზნაურებისა და მოქალაქეებისა: მაშასადამე, ვნება-ზარალი ძისის-ხევის სყალს მხოლოდ ამ მეპატრონებისთვის მოაქვს.

შენი სახლი რომ იწოდეს, მკითხველო, და შენ სხვას ეუბნებოდე, აბა, თქვენი ქირიშე, მიშველეთ, ცეცხლი ჩააქრეთ, და თვითონ კი განზე გადგეთ გულზე-ხელ-დაკრეფილი, ნუთუ ყველა არ გეტყვის: „შვილოს, თუ თითონ შენ განზე გამდგარხარ და არ გებრალევა შენი ქონება, მე რაღას შუაში ვარ, თავი რისთვის უნდა დავიმარხო ჩამოწოლილ დამწვარ კოჭებ ქვეშაო“. სწორედ ამ გვარია დღეს ჩვენი კონდოლის მემამულეთა საქმე. მანამ მთავრობა საქმეს შეუდგებოდა, ჩვენნი მემამულენი ვაზეთებით თუ სხვა გზით შეუყენებლივ გაიძხოდნენ: გვიშველეთ, ვიღუპებით, ორიოდე კაცი მოგვაშველეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცითო, და დღეს, როდესაც თბილი ის გუბერნატორის განკარგულებით, ეს მესამე კვირაა, რაც ყოველ-დღე რვასი გლეხი-კაცი მუშაობს და სამსი ურემია გამოყვანილი თვითონ მემამულენი, რომელთა მამულის დასაცველად იღწვიან ესენი, განზე გამდგარან...
ამას წინად, განძრახ ამ ხევის გამაგრებისათვის ბრძანდებოდა აქ თვითონ ბ. თბილისის გუბერნატორი. ამან მიმართა კონდოლის მემამულეთ და უთხრა: აბა, რამდენი ფული გაქვთ დამზადებული გლეხ-კაცების შესაწვენელად? უთხრეს, რომ შეიდასი მანეთი გვაქვსო, მაგრამ მეორე დღეს გამოუტანდეს, რომ მხოლოდ ოთხასი მანეთი შეგვიძლიან წარმოვადგინოთ. გუბერნატორი ეტყვის, მაგისთვისაც ძლიან მადლობელი ვიქნებითო, წარმოადგინეთ, რომ მით მუშებს პური მანც მივაწოდოთო. მემამულენი უპასუხებდნენ, რომ ამ ჟამად ყველანი აქ არა ვართ და ეხლავე არ შეგვიძლიან ეს საქმე დავამთავროთო. მაშინ გუბერნატორი უპასუხებს: შეადგინეთ სია შემომწირველთა, შეაგროვეთ ეგ ფული და სამაზრო გამგობაში გარდაეცით გლეხებისთვის დასარჩებლადო. ამ გვარად, ბ. გუბერნატორმა დაქვემდებარებით სიტყვაც ვერ წაიღო თან იმაზე, რომ კონდოლის მემამულენი რაიმე შემწეობას აღმოუჩენდნენ ამ საქმეს. გვიკირს და ვერაფრით ვერ აგვიხსნია რომ იმისთანა შეძლებული თავადები, როგორც ი. ძ-ვი, ლ-ძეები და სხვანი, უკან დამდგარან ამ შემთხვევაში, მაშინ როდესაც კისის-ხევის უმეტესად აფუჭებს ამათ უშველვებელ ზერებს და იმ ტყეს, რომლიდანაც ისინი ას სამოც თუმანს იჯარას იღებენ ყოველ წელს. აგრეთვე გვიკირს თელავის შეძლებული მო-

ქალაქის „იაგორ ბალდანიჩის“ ქვეშ, რომელიც თავის კონდოლის ზერების ღენოს ჰყიდის ურემს სამოც თუმანად და როდესაც მას შეაწერეს რამდენიმე მანეთი, დღემი ხუთჯერ-ექვსჯერ მანც უნდა ეგზანა კაცი, რომ მასზე გაწერილი ფული როგორმე შეემცირებინათ: გვიკირს, რომ ამისთანა საქმისათვის აქამომდე ოცი თუმანიც ვერ შეუგროვებიათ.

„დროების“ კორმსონდენციები.

წინა-მხარე. მასის 16-ს. მთელი აპრილი ისე გავიდა, რომ წინა-მხარეში, და მგონია სხვა მხარესაც, ორ-ჯერ წვიმა არ მოსულა. ძლიერმა სიცხეებმა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს 25° (P.) აღიოდა, მთლად ამოახმო მინდვრებში ბალახი, ყანები და ქვრები. მიწის პირადე დაბერა და გაზაფხულის ნახნავები შავად დასტოვა. მხოლოდ ვენახებს და ტყეებს ადევს მწვანე ფერი, მაგრამ, რომ დაუკვირდეთ ამ ფერსაც, გადაწყვეტით ვერ იტყვიან, რომელ დროს შეეფერება ამ ნაირი სიმწვანე ტყეებისა და ვენახებისა: გაზაფხულს, ზაფხულს, თუ შემოდგომას. ამისთანა სურათს წარმოადგენს დღეს მთელი პლანის ველი. მართალია, მასის 3, 11, 15 და დღეს 16 იყო წვიმები, მაგრამ ამ წვიმებმა ვერაფერი უშველა მოსავალს, რაც არ აზარალა: პირველმა წვიმებმა-მით, რომ მათ შორის ხანი დიდი გამოდიოდა და ცხარე მზეები, როგორც ქვებში, ისე ჰმუშავდნენ მოსავალს, და 15 და 16 წვიმებმა კიდევ თან მოიტანეს ქარი და სეტყვა.

მაგრამ რა გასაკვირველია ბუნების მიერ ამ ნაირად დასჯა ხალხისა მაშინ, როდესაც თითონ ხალხი სჯის ერთმანეთს ქურდობით, ტაციობით და სხ. მაგად., ს. მეჯინში ამას წინად ერთი კვირის განმავლობაში მოიპარეს სამი ცხენი.— ბამოჩნდა წინა-მხარეში ისეთი ხალხი, რომელსაც ბუნებრივს სეტყვაზედ უარესი სეტყვაც მოჰყავს, მხოლოდ უკანასკნელი მითი განიჩევა პირველიდან, რომ იგი არ არის ყინულისა, არამედ არს ქალაღლისა აღსრულებით ფურცლების (Исполнительные листы) სახელით. ბამოჩნდა წინა-მხარეში ერთი ვილაც მატანტალა ნ. დ. შმ—ნი. ეს პირი რამდენსამე წელს ყოფილა თბილისში „კვარტალნად“, მერე სხვა ადგილებში უმსახურნია პოლიციის ბოქაულად და ერთგული და უზაცველი სამსახურის გულისთვის გამოუბძანებიათ სამსახურიდან და, როგორც გვესმის, სამართალშიაც ყოფილა მიცემული. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ყოველი კუთხე მოუვლია და ეხლა შემოდგა ფენი წინა-მხარეშია. აუელის და ჩაუელის წინა-მხარის სოფლებს სილნალიდამ მოკიდებული მელის-ციხემდის და ვაქრობს აღსრულებითი ფურცლებით. მისაც კი ძველის ძველი ფურცლები ჰქონდა, ანუ ვისაცა ჰქონ-

და იგინი და აპრობდა მეზობელთან შინაურულად საქმის გათავებას, ყველას დასტყუა ეს ქალღმერთი და გადაიღო თავის სახელზედ საკუთრებად. ამ ნაირი ფურცლებით დატვირთული ან პირდაპირ თითონ მიდის მოვალესთან, რომელიც ვერ იცნობს მას, ეტყუება მას სასამართლოს ბოქაულად და რაც უნდა იმასა ვერება (ამ ნაირ მის მოქმედებისათვის ერთმა გუჯანელმა გლეხ-კაცმა კარგი ჯოხებიც მიარტყა ბ. შმ—ნს), ან მიდის სასამართლოს ბოქაულებთან, მოჰყავს ისინი საცოდავი გლეხის ხახში და უკანასკნელ ძონძებსაც კი უწერავს. მითონ ბოქაულებს თვალის დასანახავად სხვით იგი, თვალს ჰხუტავენ საცოდაობა არ დაინახონ, და ძლიერაც ეჩხუბებიან აწერის დროს, მაგრამ იგი არ ეშვება და თავისაზედ სდგას. ამ ბოლოს დროს ს. მეჯინაშვილს შემოეჩნია და ორგან დავესწარი მოწმად აწერაში, როდესაც გაპოჩინა შესანიშნავი გულქვაობა ამას ჯანი გავარდეს, ხალხს ჰკიდებს ერთმანეთს და ამით ავრცელებს მათში მტრობასა და შურისძიებას. ჩვენ არ ვიცით, აქვს ბ. შმ—ნს უფლება ამ ნაირის მოქმედებისა ხალხში, თუ არა, მაგრამ ძალიან კარგი კი იქნებოდა, რომ ამ კაცის მოქმედებას ყურადღება მიაქციოს პოლიციამ და დაინახოს ისეც შეწუხებული ხალხი მისი შეწუხებისაგან მაინც. ჩვენ სრულიად დაიმედებულნი ვართ სიღნაღის მაზრის უფროსზედ, რომ როგორც მოაშორებს ამ სენს თავის მაზრას მით უფრო, რომ იგი აპრობს უფრო საძირკვლიანად ფეხის ჩამოდგმას სიღნაღის მაზრაში. ბ. შმ—ნი დაუმეგობრდა მეჯინის სკოლის მზრუნველს თ. მ. მ. ან—ეს და როგორც გავიგეთ ხალხის ლაპარაკიდან, ამ ორ პირს აქვს მოლაპარაკება შეადგენინონ მეჯინის საზოგადოებას განაჩენი მაზედ, რომ სთხოვონ დირექტორს, რათა შმ—ნი დანიშნონ ვაჭების მასწავლებლად მეჯინის სკოლაში და მისი ცოლი ქალების მასწავლებლად.

კავთის-ხევი (გორის მაზრა), მაისის 21-ს. მშენიერს, ბუნებით შემკულს სოფელს წარმოადგენს ავთის-ხევი. მოველ-გვარის ნაყოფიერებით დაჯილდოებულია იგი: ჰაერით, მოსავლით და მდებარეობით. უკანასკნელის აღწერით ამ სოფელში ირიცხება ხუთასი კომლი. ავთის-ხევი მდებარეობს ერთს დიდს ხეობაზედ და სადაც ეს ხევი თავდება ერთი ეკლესია სდგას, (ავთა) რომელიც დროთა ვითარების წყალობით დანგრეულია. სოფლის სამხრეთით აღმართულია დიდი მთა, ძსილისი, რომელიც უწინდელ დროში ისეთის დაბურულის ტყით იყო მოკული, რომ ადამიანი ვერას გზით ვერ გაიკვლევდა გზას; მაგრამ დღეს კი სრულიად მიწდვრად არის ნაქცევი და ზედ მთიულები დასახლებულან.

მთიულების გადმოსახლებას ერთი უბედურობა მოჰყვა, რომელიც უფრო-და-უფრო ფეხს იდგამს. სანამ ეს მთიულები აქ გადმოსახლებოდნენ, მანამ ისეთი წყალი მოდიოდა ავთის-ხევიში, რომ ურემებით გასვლა უჭირდებოდათ სოფლებს. ღღეს, რაკი ტყე ერთიანად გაკაფეს თითქმის, მდინარე თან-და-თან შრება, რადგან სათავე ამ მთაში არის. რას უნდა გახდეს ეს წყალი: წისქვილები დაბარუნოს, თუ მინდორი მოაწყოს?.. საშინელებაა ხოლმე ამ სოფელში, როცა გვალვიანი წელიწადია. ამ ზაფხულს ერთი კვირა მომიხდა ამ სოფელში ყოფნა და ხუთს კაცს გაუხეთქეს თავი ბართა წყლის გულისთვის. ჩვენი უმეცარი გლეხები, როგორ გავამტყუნო, როდესაც თვით თავად-აზნაურობა ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ. თუ ამ ტყის პატრონებმა არ აუკრძალებს ტყის გაკაფვა, ბოლოს იქამდის მივა საქმე, რომ დასალევი წყალიც აღარ ექნებათ კავთი-ხეველებს.

ივ. ჯაფანაშვილი.

უკხევი

საზრანბეთი. მთელი ქვეყნის განათლებულ სახელმწიფოთა გაზეთები ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერ გაათავებენ მოთხოვნას მიკტორ ჰიუგოს ავადმყოფობაზე, პოეტის უკანასკნელ წამებზე, თვით მიღებასა და დასაფლავებაზედ

პოეტის დარჩენილ ქონების რაოდენობაზედ სხვა-და-სხვა ცნობებს იძლევიან გაზეთები. ღღეს იწერებიან, რომ მიკტორ ჰიუგოს დარჩა 6 მილ. ფრან. თუ ნაღდ ფულად და თუ ქალღმერთთაო.—ჰიუგოს თხზულებანი 48 ტომს შეიცვენო... ზაბეჯითებით ამბობენ, რომ პოეტს ბევრი თხზულება დარჩებოდა ისეთი, რომელიც ქვეყანას არ უნახავს ჯერო—ბეჭდვში არ გამოსულანო.— ერთი უკანასკნელი თხზულებათაგანი პოეტისა „ზიუტ“ ამ დღეებში გამოვა და ღარიბთა სასარგებლოდ გაიყიდება, პოეტის სურვილისა-მებრ.

ძველს პარიჟში დაუდგმენ დიდებულს პოეტს.

მიცვალებისა და გამოსვენების დღეს ბევრი მალაზიები დაკეტილნი იყვნენ და კარებზედ მალაზიის პატრონებს წაეწერათ. „მიკტორ ჰიუგოს მიცვალების გამო.“

ერთი კვირაა, რაც დაღვრემილა, მწუხარებით მოკულა ეს ქვეყნიური მხარული ქალაქი—პარიჟი იწერებიან კორესპონდენტები სხვა-და-სხვა გაზეთებისა. ძალაქი და მთელი საფრანგეთიც თითქოს დაობლდნო. ტეტრები დახურულია. ჰველა სასწავლებელთა დაითხოვეს მოწაფენი.— უცხო სახელმწიფოთა კორესპონდენტების თხოვნა, რომ პროცესიანი მათ ალაგი ჰქონდეთ ფრანკუზულ გაზეთების წარმომადგენლებთან კო-

მისიამ დიდის კმაყოფილებით მიელო. კომისიამვე დიდის მადლობით მიიღო ღალუს წინადადება, რომ კუბოს დასადგმელ ადგილის ერთს თავში მოეწყოს რესპუბლიკის და მდისონის ძეგლები, რომელთაგან მერე, მდისონის ძეგლი ელექტრონით გაანათებდა Rond Point-ის მოედანს.

თუ სად უნდა დავმარხათ დიდებული პოეტი ამაზედ დიდი თათბირი ჰქონდათ. ამის თაობაზედ ერთი პარიჟის გამოჩენილი ექიმი სწერს.

„თუ-კი საქიროა ადგილის გამოძებნა მიკტორ ჰიუგოს დასამარხავად, ასეთ ადგილად, ამ ჟამად მაინც, არ უნდა იქმნეს პანთეონი. ჰიუგო უნდა დაიმარხოს „Hôtel des Invalides“-ში იმ გმირ მხედართა გვერდით, რომელნიც პოეტმა ისე აღტაცებით შეამკო თვის ოდგება და მატარლოოს ომის აღწერაში. როგორც ინგლისელი თვის დიდებულ კაცებს ასაფლავებენ, მათის აზრისა და მიმართულების განუზრუნველად, შესტმინსტერში, აგრევე ჩვენც, ფრანკუზები, სამართლიანად მოვიქცეოდით, რომ გვერდით მიუტარხოთ ჰიუგო იმ სამხედრო გმირთ, რომელნიც მან შეამკო და აღიდა. ბერძენთ რომ შეეძლოთ ამ ჟამად ჰომეროსისა და ახილეუსის ძეგლების პოვნა, უეჭველია, ერთად დამარხებდნენ მათ.“

რამდენიმე სენატორთ შეუტანიათ წინადადება, რომ რაფარძელი, რომელშიაც სენატის ხსლომების დროს ჯდებოდა ხოლმე დიდებული პოეტი, ამიერიდამ დარჩეს ცარიელი, არავინ არ დაიჭიროს იგი.

მადრიდიდამ სწერენ ფრანკუზულს გაზეთებს, რომ მსანისის მუნიციპალურმა რჩევამ დაადგინა Reina-ს ქუჩას მიკტორ ჰიუგოს ქუჩა გადაერქვას სახელად.

საბერძნეთის ელჩმა პარიჟში შემდეგი ტელეგრამა მიიღო ათინადამ: „შორმესის მწუხარებით მიეგებენით ჩვენ მიკტორ ჰიუგოს გარდაცვალების ამბავს. მეფე ჩვენი, ამის მმართველობა და მთელი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი უერთდება საფრანგეთის მწუხარებას, გლოვას, უდიდესის პოეტის გამოსალმებისა და გამოჩენილის მოქალაქისა და ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლის დაკარგვისა გამო. სრულიად განათლებულმა ქვეყანამ უნდა იგლოვოს მიკტორ ჰიუგო. საბერძნეთის ერი დასტირის მას, როგორც ერთს უხუცესს, უყვითლო მობილეს და უმტკიცეს ელინთა მოყვარეს, ელინების თანამგრძობს. ამისათვის მეფისა და ერის მონდომილობით გთხოვთ განუცხადოთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძობა მიცვალებულის ოჯახობას, გაჰყვეთ პოეტის კუბოს და მის საფლავზედ დასდოთ გვირგვინი. გარეშე საქმეთა მინისტრი ზ. დეჯიანისა.“

ამერიკის გაზეთები ერცელს წერილებს უძღვნიან მიკტორ ჰიუგოს ხსოვნას. საფრანგეთში ჰიუგო იყო უპირველესი კაცი. შრანკუზულმა წრეებ-

მა ნიუ-იორკში გადასწყვიტეს დამარხვის დღეს შეადმარტყქქ [ტუნტუნტუნტუნ] სადგომები.

ინგლისი

ამ ორს-სამს დღეში პოლიტიკურს ასპარესზე ისეთი არა მოხდარა რა, რომ მიკტორ ჰიუგოზე ცნობების წერისათვის თავი დაგვენებებინა ავლანის საქმეს წინ-სვლა არ ეტყობა. მხოლოდ მოლაპარაკება კვლავაც მოდის, რასაკვირველია. ნემეცურმა გაზეთებმა, ეტყობა, სულ დაჰკარგეს ომის მოლოდინის იმედი და „წაქეზებითი კილო“ ეხლა „გაკიცივით კილოზე“ შესცვალეს. ისინი ჰკიცხვენ ინგლისს, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყოველს გამოაწყობილს საქმეში დამარცხებანა.

ლორდ როზბერის ბერლინში გამგზავრებას დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აძლევენ, თუმცა ლონდონის ოფიციალური ენერგიულად ყოფენ უარს, რომ სენ-ჯემის კაბინეთის წევრს ლორდ როზბერის რაიმე დიდი მინდობილება ჰქონდეს. ლორდ როზბერის გარდაცვალებული თათბირი თ-დს ბისმარკთან და საზოგადო ყურადღება იმ გარემოებაზეა მიპყრობილი, რომ ამ თათბირებზე არ დასწრებიან ინგლისის ბერლინელი ელჩი სერ მდვარდ მალეტი. საზოგადოდ ბერლინისა და ლონდონის კაბინეთებმა ესეთი წესი შემოიღეს ამ უკანასკნელ ხანებში: ამას წინად, როდესაც ჰერბერტ ბისმარკი გაიგზავნა ლონდონს კოლონიალურ პოლიტიკის გამო ინგლისისა და ბერმანიის შორის ამტყდარის უთანხმოების მოსაწყობად, ბერმანიის ლონდონელი ელჩი, გრაფ მიუნსტერი არ დასწრებია იმ თათბირზე, რომელიც მოხდა ჰერბერტ ბისმარკისა და ინგლისის მინისტრთა შორის.—ნამდელიად რა საგნისათვის არის წასული ლორდ როზბერი ბერლინში—არ იციან. ერთნი ასახელებენ მეგობრის საქმეებს, სხვანი-კი—ავლანისას.

ამერიკის რესპუბლიკა. აგერ თვე მიდის, რაც ცენტრალურ ამერიკის რესპუბლიკურს წერიმან სამთავროებში შორის გაცხარებული ბრძოლაა გამართული და ეს ბრძოლა დღითიდღე მძაფრდება. ჰველა რესპუბლიკები ერთად-ერთ დამნაშავედ ამ ბრძოლის ატებისა ბეატემალას სთელიან და, როგორც ამბობენ, ყველას ერთად, შეერთებულის ძალით ჰსურთ მის წინააღმდეგ წასვლა.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა განუუცხადო იმ პირთ, რომელნიც დაეხმარნენ ძარდანების სოფლის ხალხს ჩემდამი რწმუნებულის სკოლისათვის ახალი შენობის აშენებაში: სიღნღის მაზრის უფროსს, რომელმაც შესწირა



არქის ხის პალატი

დოქტორის ლენილისა ბიზნისით

საყვარელი სატულეჯო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სვეტაკს სითეთრეს, სვობს ქორფოს, ფერიკამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუქელის სახეს, ასწორებს მოღმეკილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს. პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიამართოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კანსიულებზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არქის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. კელოტან და კომპ. პ. შერსინთან, გეშლინთან, ბ. ბრუსთან, ლიუბერთან, ბირშეფელთან, მატესიენთან, ს. პეტერბურგში სააფთიაქო საქონლის საავტორო რუსეთის საზოგადოებაში, თბილისში სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

II. 12.233

(12-5)

ინკლისური მალაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში № 95, 94, 93, (92 სამუსიკო მალაზია ლანკასი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მალაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩაისი ხა	1 მან. — კაპ.	ჩაის	სხვაგან 1 მან 20 ლირე უკლ.
„ „ „	1 — 20 — „	„ „ „	„ 1 — 50 —
„ „ „	1 — 40 — „	„ „ „	„ 1 — 80 —
„ იშვიათი	1 — 60 — „	„ „ „	„ 2 — 20 —
„ ჩინეთის ყვავილი	1 — 80 — „	„ „ „	„ 2 — 50 —
„ ფუჩიფუ	2 — „ — „	„ „ „	„ 2 — 80 —
„ ფენომენი	2 — 40 — „	„ „ „	„ 3 — „ —

ტრაქტორები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უცქველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდონ ასეთს სუნწელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქვალადლოდ იქნება

შალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მალაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკიტები, თევზმეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოლნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; უკუაფორი პირველ სედაგან—აი საიდუმლო ინგლისური მალაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქალაღს, კრაოტებს და სხვ.

(100-18)

ცნობილი თავის თვისებით განარჩილს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფენის თითებს.

ბალვანიანი

ისე იღება აფთიაქებში, აგრეთვე კერძის დიდი სასეშიფიფოს ყველა ქალაქის მქვეყნიანებთან. უმთავრესი დეპოტ იმყოფება ვარშავაში თვით გამოამეკანელს, აფთიაქის მქონეს ფორმა-

ცნობილი თავის თვისებით განარჩილს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფენის თითებს.

აქილათი სიხალბით გააქთივალს და მოითხოვთ, რომ ყველა კოლოფთან დარიგების ფურცელი იყოს, თუ როგორ იხმარება და პარიფის გამოფენის მქალდი. ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი. (10-4)

სოფელს მანრაში გაყიდული გირაო საქონლის დარჩენილი ფულიდამ 178 მან., თ. ი. ბ—ძე ვაჩნაძეს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო სოფელს სკოლისათვის საქირო ერთ დღიურზედ მომეტებული მიწა და თ. თ. ვაჩნაძეთ და აფხაზთ, რომელთაც მისცეს სოფელს საქირო ხის მასალა და ხე-ტყე შენობისათვის.

კარდანების სკოლის მასწავლებელი ი. ცისკარაშვილი.

მაისის 20 1885 წ., ს. კარდენი.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააკტოსი“

მაისის 22-ს.

ბერლინი. „ჩრდილოეთ-გერმანიის საზოგადოება გაზეთი“ პასუხს უკებს გაზ. „Standard“-ს იმ სტატიაზე, რომელიც შეეხებოდა გერმანიის ძიერადგილებს და ჭკრას აფრიაკის აღმოსავლეთ ნაწილში ზანზაბარას პარდა-პირ. იმედი უნდა ვიქონიოთ, — ამბობს ბერლინის გაზეთი, რომ ინგლისი გაგლენას იქონიებს ზანზაბარის ხონთქარსე და ამჟღავნებს მას—დაუტყვას ომის გამოსწვევი მოქმედებანი.

პარიში. იმ გარემოებამ, რომ ზანზაბარის ეკლესიური სასაათი ეკარგება, რაკი ვიკტორ ჭიუკო დამარხება მასში, წინააღმდეგობა გამოიწვია პარიზის აქაურობისათვის. სასულაურო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ეს წინააღმდეგობა აღემატება არქაურობის უფლებათა და თვით კილა ამ წინააღმდეგობისა შესაფერო არ არას არქაურობის მფარველობათა მმართველობისადმი და ვერ დაცივავს მშვიდობიანურს განწყობილებას სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 21.

100 მანათის კურსი სამის	თვით ლონდონზე — 24 1/2, 24 1/16
100 მანათის კურსი სამის	თვით პეტერბურგზე — 208 1/8, 210
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზე — 258 1/4, 259 1/4
პოლუიმპერიადები	— 8 მ. 3 კ. გაუ.
ტამბონის ვაშონები	— 8 მ. 2 კ. გაუ.
ვეტნლის მანათი	— 1 მ. 20 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 6 და 7%
5% ბილეთები სახემ-წიფო ბანკისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 98 მ. 62 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 1/2 მ. გაუ.
მეოთხე გამოც.	— 97 3/4 მ. გაუ.
მეხუთე გამოც.	— 97 1/2 მ. გაუ.
5% ალმას. სესხ. 100 და 1000.	— — — 95 1/2 მ. გაუ.
მეორე გამოც.	— — — 95 მ. გაუ.
მესამე გამოც.	— — — 95 მ. 37 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	— 226 1/2 მ. გაუ.

5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	— 202 მ. გაუ.
ოქროს რენტა	— — 168 1/4 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამული ბანკის გირაუნობ.	— — —
ფურცლები	— — —
ქუთაისის საადგილ-მამული ბანკის გირ. ფურც.	— — —

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბენი პერმიშვილი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიგები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ქორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიძე-ვარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

გაბიგები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

გაბინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტამბანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქოვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდან 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცემი რი პური რე სკოტის ფეჭბისა — — 1 გირ. 5 კ

აქაურის ფეჭბისა: პირველის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2

მეორისა — — — 1 გ. 2 კ

იმედე ფეჭბისა თორნეში გამომცემ-ცხვარი:

პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2

მეორისა — — — 1 გ. 3 კ

მესამისა — — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 4 1/2

მეორის ხარისხისა — 1 გ. 3 1/2

მესამისა — — — 1 გ. 3 კ

ძროხის სორტი:

პირველს ხარისხისა — 1 გ. 8 კ

მეორისა — — — 1 გ. 7 კ

სუკი — — — 1 გ. 15 კ

ცხვრის სორტი — — 1 გ. 9 კ

ლორის სორტი:

პირველის ხარისხისა 1 გ.

მეორისა — — — 1 — გ

განცხადებანი

მხარეული

საუცხოოდ მცოდნე თავის საქმისა ეძებს ადგილს.

თანახმა მალაქიდავს გავიღვს.

ადრესი: დ. სარაჯოვის სასაღების ქვეციხართან. (5-1)